არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს
წესდება - წევრთა შეთანხმება

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა: „მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო" (შემდგომში, სააგენტო).

1.2 სააგენტო წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის (შემდგომში კოდექსი) 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და 106[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შექმნილ, წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც იქმნება მუნიციპალიტეტების ერთობლივი საქმიანობის განხორციელების ორგანიზებისათვის.

1.3 სააგენტო წარმოშობილად (დაფუძნებულად) ითვლება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში, მარეგისტრირებელი ორგანო) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის დღიდან.

1.4 სააგენტო წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მიზნების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, სააგენტოს წევრი მუნიციპალიტეტების შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.5 სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი საკუთარი სახელწოდებითა და საიდენტიფიკაციო ნომრით, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები, ემბლემა და სხვა სახის რეკვიზიტები.

1.6 სააგენტოს იურიდიული მისამართია გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, გრიგოლ ფერაძის ქ.№5.

1.7 სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართია: info@gori.gov.ge.

1.8 სააგენტო თავისი წევრების, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. მისი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საკუთარი ქონებით. სააგენტოს ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი პასუხს არ აგებს. ასევე სააგენტო არ აგებს პასუხს საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ვალდებულებებისათვის.

1.9 სააგენტოს საკუთრებაში აქვს ქონება. მას უფლება აქვს იყოს მხარე გარიგებაში, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოში.

1.10 სააგენტო იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

1.11 სააგენტოს სამეურნეო წლად ითვლება კალენდარული წელი.

1.12 სააგენტოს საქმიანობა, ძირითადად, ხორციელდება წევრი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

1.13 სააგენტოს დამფუძნებლები არიან:

- **გორის მუნიციპალიტეტი,** საიდენტიფიკაციო კოდი 218086087
  იურიდიული მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, გრიგოლ ფერაძის ქ.№5.
  წარმომადგენელი: გორის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე თავზარაშვილი
- **ხაშურის მუნიციპალიტეტი,** საიდენტიფიკაციო კოდი 243908848
  იურიდიული მისამართი: ხაშურის მუნიციპალიტეტი, ხაშური, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №2
  წარმომადგენელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე
- **კასპის მუნიციპალიტეტი,** საიდენტიფიკაციო კოდი 232555302
  იურიდიული მისამართი: კასპის მუნიციპალიტეტი, კასპი, მერაბ კოსტავას ქ. №18
  წარმომადგენელი: კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე
- **ქარელის მუნიციპალიტეტი,** საიდენტიფიკაციო კოდი 240893002
  იურიდიული მისამართი: ქარელის მუნიციპალიტეტი, ქარელი, ნინოშვილის ქ. №3
  წარმომადგენელი: ქარელის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა გულიაშვილი

მუხლი 2
სააგენტოს საქმიანობის მიზნები და ფუნქციები

2.1 წესდების მიზნებისთვის ტერმინი უპატრონო (მიუსაფარი) შინაური ცხოველი გულისხმობს შინაურ ცხოველს, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე ან მფლობელი, ძირითადად, ძაღლები და კატები.

2.2 სააგენტოს საქმიანობის მიზანია:

2.1.1. ადამიანისა და შინაური ცხოველების უსაფრთხო თანაარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა;

2.1.2. წევრ მუნიციპალიტეტებში კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების - უპატრონო (მიუსაფარ) ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა - საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

2.1.3. ამ მუხლის 2.3 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა;

2.3 სააგენტოს ფუნქციებია:

2.3.1 დასახლებებში ბინადარი უპატრონო - მიუსაფარი შინაური ცხოველების პოპულაციების მართვა, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით;

2.3.2 მიუსაფარი შინაური ცხოველის დაჭერა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით;

2.3.3 მიუსაფარ შინაურ ცხოველზე საიდენტიფიკაციო საშუალების განთავსება მიკროჩიპირებით, ან ტატუირებით, ან საჭდით („ბირკით") ;

2.3.4 საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან/და კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის (სისხლის, შარდის, ბეწვის და სხვა) ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა

(დეჰელმინთიზაცია, ვაქცინაცია (მათ შორის „კომპლექსური“, „ანტირაბიული“) და სხვა), ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია, ყურის კუპირება და სხვა) ჩატარება, ცხოველის ევთანაზია;

2.3.5 საჭიროების შემთხვევაში, დეზინფექციის, დეზინსექციის, დეზაკარიზაციის და დერატიზაციის ღონისძიებათა განხორციელება;

2.3.6 ევთანაზირებული ან დაცემული ცხოველის ლეშის გადატანა შესაბამის ბიოთერმულ ცხოველთა სამარხში (ბეკარის ორმოში), ცხოველის ლეშის დამარხვისთვის გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე ან კრემატორიუმში;

2.3.7 მიუსაფარი შინაური ცხოველის გაჩუქება, მიკედლება, დაინტერესებული პირისთვის დაბრუნება, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი;

2.3.8 ზემოთ ჩამოთვლილი ვეტერინარული და სხვა ღონისძიებების გატარების შემდგომ, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველის (რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს) ბუნებრივ არეალში ან პირვანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაბრუნება;

2.3.9 საჭიროების შემთხვევაში, მიუსაფარი შინაური ცხოველების ვაქცინაციის ჩატარების უზრუნველყოფა ან სურსათის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიულ ორგანოსთვის მიმართავა მიუსაფარი შინაური ცხოველების ვაქცინაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად

2.3.10 დამხმარე არაძირითადი საქმიანობის სახით, სხვადასხვა შინაური ცხოველების მოვლა-პატონობასთან დაკავშირებით კერძო პირებისთვის მომსახურების გაწევა (შინაურ ცხოველთა ტრანსპორტირება, დორეზითი მოვლა-პატრონობა, აგრეთვე ამ წესდების 2.3.4-2.3.6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურება და სხვა) შესაბამისი საფასურით;

2.3.11 2.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნის ფარგლებში, მიუსაფარი შინაურ ცხოველების მართვასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

2.4 ამ მუხლის 2.1 და 2.3 პუნქტებით გათვალისწინებული მიზნისა და ფუნქციების განსახორციელებლად, სააგენტო უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად, განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებები (გამართოს კონფერენციები, დაამყაროს ურთიერთობები საჯარო და კერძო დაწესებულებებთან, აწარმოოს მოლაპარაკება, დადოს ხელშეკრულებები, გაეცნოს საერთაშორისო პრაქტიკას, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ა.შ.).

2.5 „წევრ მუნიციპალიტეტსა და სააგენტოს შორის თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ამ წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების გადაცემა ხორციელდება ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე. სააგენტოს სახელით ხელშეკრულებას, სააგენტოს უმაღლესი მმართველობითი ორგანოს თანხმობით, ხელს აწერს სააგენტოს ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 3
ინტერმუნიციპალური სააგენტოს წევრები

3.1 სააგენტოს წევრი შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტი.

3.2 სააგენტოს წევრებს წარმოადგენენ დამფუძნებელი წევრები და სააგენტოს რეგისტრაციის შემდგომ მასში გაწევრიანებული წევრები.

3.3 სააგენტოს წევრის უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - მერი. მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან დროებით არყოფნის შემთხვევაში სააგენტოს წევრის უფლებამოსილებას ახორციელებს მერის მოვალეობის შემსრულებელი მუნიციპალიტეტის შესაბამისი თანამდებობის პირი.

3.4 გადაწყვეტილება ახალი წევრის მიღების შესახებ მიიღება სააგენტოს ყველა წევრის თანხმობით.

3.5 წევრს წევრობა შეიძლება შეუწყდეს საკუთარი განცხადებით, აგრეთვე ყველა დანარჩენი წევრის გადაწყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევისა როცა სააგენტოს სამზე ნაკლები წევრი ჰყავს.

3.6 წევრი ვალდებულია განცხადება წევრობის შეწყვეტის შესახებ, ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე არანაკლებ 3 თვით ადრე, წარუდგინოს სააგენტოს უმაღლეს მმართველობით ორგანოს - სააგენტოს წევრთა საერთო კრებას (შემდგომში საერთო კრება). ასეთ შემთხვევაში წევრს წევრობა უწყდება ახალი სამეურნეო წლის 1 იანვრიდან, აღნიშნულ ინფორმაციას საერთო კრება იღებს ცნობის სახით.

3.7 საკუთარი განცხადებით, 3.6 პუნქტით განსაზღვრული წესის დაუცველად, წევრს წევრობა შეიძლება შეუწყდეს საერთო კრების გადაწყვეტილებით.

3.8 წევრს წევრობა შეიძლება შეუწყდეს, ამ წესდების 3.10 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ყველა დანარჩენი წევრის გადაწყვეტილებით.

3.9 სააგენტოს წევრს უფლება აქვს:

3.9.1 მიმართოს სააგენტოს უმაღლეს მმართველობით ორგანოებს: საერთო კრებას და ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს - დირექტოს (შემდგომში, სააგენტოს ორგანოებს) სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

3.9.2 სააგენტოს ორგანოებისგან შეუფერხებლად მიიღოს ნებისმიერ ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის შესახებ;

3.9.3 მოითხოვოს სააგენტოში დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარება;

3.9.4 ამ წესდებითა და საერთო კრების მიერ დადგენილი წესით და შემთხვევაში, სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების შესაბამისად, მოითხოვოს მის ტერიტორიაზე სააგენტოს მიერ ამ წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება;

3.9.5 გავიდეს სააგენტოს წევრობიდან წესდების მოთხოვნების შესაბამისად.

3.10 სააგენტოს წევრი ვალდებულია:

3.10.1 დაიცვას წესდება;

3.10.2 საერთო კრების მიერ დადგენილ ვადაში და ოდენობით გადაიხადოს საწევრო გადასახადი (სუბსიდია/გრანტი (ტრანსფერი));

3.10.3 მონაწილეობა მიიღოს საერთო კრების საქმიანობაში;

3.10.4 ხელი შეუწყოს სააგენტოს ორგანოების საქმიანობასა და გადაწყვეტილებების შესრულებას;

3.10.5 სააგენტოს ორგანოებს დროულად მიაწოდოს სააგენტოს საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაცია;

3.10.6 გაუფრთხილდეს სააგენტოს ქონებასა და საქმიან რეპუტაციას.

3.11 სააგენტოს წევრის სხვა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება ამ წესდებით, საერთო კრების გადაწყვეტილებით და სააგენტოსა და წევრს შორის გაფორმებული ადმინისტრაციული ან სხვა ხელშეკრულებით.

მუხლი 4
სააგენტოს მართვა

4.1 სააგენტოს უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სააგენტოს წევრთა საერთო კრება.

4.2 საერთო კრების შემადგენლობაში შედის სააგენტოს ყველა წევრი.

4.3 საერთო კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 6 თვეში ერთხელ. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ყველა წევრი.

4.4 საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ყველა წევრის თანხმობით, კონსენსუსის საფუძველზე, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საერთო კრების წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

4.5 საერთო კრება უფლებამოსილია:

4.5.1 მართოს სააგენტო მისი მიზნებისა და ფუქნციების განხორციელების უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების მოთხოვნების გათვალისწინებით;

4.5.2 მიიღოს გადაწყვეტილება სააგენტოს წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4.5.3 ამ წესდების მე-3 მუხლით განსაზღვრული წესების გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება სააგენტოს წევრად ახალი წევრის მიღების, წევრობის შეწყვეტის;

4.5.4 განიხილოს და დაამტკიცოს სააგენტოს წლიური ბიუჯეტის პროექტი და შეიტანოს მასში ცვლილება;

4.5.5 დაამტკიცოს სააგენტოს განვითარების სტრატეგია და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

4.5.6 დაამტკიცოს ამ წესდების 2.3.10 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური;

4.5.7 დაამტკიცოს დირექტორის ანგარიში წინა წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

4.5.8 წევრთა არანაკლებ 1/4-ის მხარდაჭერით მიიღოს გადაწყვეტილება დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ;

4.5.9 კონტროლი გაუწიოს დირექტორის საქმიანობას და მოსთხოვოს მათ საქმიანობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის და ანგარიშის წარდგენა;

4.5.10 დირექტორის წარდგენით დაამტკიცოს სააგენტოს ადმინისტრაციის დებულება, სააგენტოს საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ოდენობა;

4.5.11 დირექტორის წარდგენით დაამტკიცოს სააგენტოს შრომის შინაგანაწესი, საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის შესაბამისად;

4.5.12 დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორი;

4.5.13 დირექტორის წარდგენით დაამტკიცოს სააგენტოს დირექტორის მოადგილის და სხვა თანამშრომელთა საკონკურსო კომისია და კონკურსის ჩატარების პირობები;

4.5.14 მიიღოს გადაწყვეტილება სააგენტოს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;

4.5.15 მიიღოს გადაწყვეტილებები, სააგენტოს მართვასთან და საერთო კრების მუშაობის პროცედურებთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ წესდებით და არ ეწინააღმდეგება წესდებასა და საქართველოს კანონმდებლობას;

4.5.16 განახორციელოს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

4.6 საერთო კრების საქმიანობის ფორმაა საერთო კრების სხდომა. საერთო კრების სხდომებს უძღვება და წარმართავს საერთო კრების თავმჯდომარე.

4.7 საერთო კრების თავმჯდომარედ საერთო კრების წევრი მუნიციპალიტეტის განწესება ხდება ერთი წლის ვადით, როტაციის პრინციპით.

4.8 საერთო კრების თავმჯდომარე მუნიციპალიტეტის რიგითობა მტკიცდება საერთო კრების გადაწყვეტილებით. თუ რიგითობის შესახებ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, საერთო კრების თავმჯდომარე მუნიციპალიტეტის რიგითობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტების დასახელების ანბანური თანმიმდევრობით.

4.9 საერთო კრების მიერ დადგენილი რიგითობის გათვალისწინებით, საერთო კრების მოქმედი თავმჯდომარე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვას და ახალი თავმჯდომარე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დაწყებას საერთო კრება იღებს ცნობის სახით.

4.10 საერთო კრების თავმჯდომარე მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია უარი თქვას საერთო კრების თავმჯდომარეობის უფლებაზე.

4.11 საერთო კრების თავმჯდომარის უფლებამოსილების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მერის ცვლილება არ იწვევს თავმჯდომარე მუნიციპალიტეტის ცვლილებას.

4.12 საერთო კრების თავმჯდომარე უძღვება და წარმართავს საერთო კრების სხდომებს, ხელს აწერს საერთო კრების ოქმს, საერთო კრების დადგენილებასა და წერილებს, ინიციირებას უკეთებს საერთო კრებაზე განსახილველ საკითხებს, ადგენს საერთო კრების დღისწესრიგს, უზრუნველყოფს საერთო კრების ოქმის, დადგენილებისა და წერილების შედგენას და დაგზავნას; აბორციელებს ამ წესდებით განსაზღვრულ და საერთო კრების მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4.13 საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს: საერთო კრების თავმჯდომარეს ან საერთო კრების წევრს. საერთო კრების სხდომის ჩატარების ადგილს განსაზღვრავს საერთო კრების თავმჯდომარე.

4.14 საერთო კრების გადაწყვეტილება ფორმდება საერთო კრების ოქმით ან/და საერთო კრების დადგენილებით. საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება

საერთო კრების დოკუმენტების: ოქმის, დადგენილების და წერილის ბლანკის სტანდარტული ფორმის დამტკიცების შესახებ.

4.15 საერთო კრების დადგენილების პროექტი შეუძლია წარადგინოს საერთო კრების წევრმა და სააგენტოს დირექტორმა.

4.16 საერთო კრების სხდომის ოქმი დგება საერთო კრების სხდომის დასრულების შემდგომ. ოქმში აისახება საერთო კრების დადგენილების პროექტზე და სხვა საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები, სხდომაზე განხილული საკითხების მიმართ საერთო კრებაზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე, სხვა საკითხები.

4.17 საერთო კრების ოქმს ამზადებს საერთო კრების თავმჯდომარე ან/და საერთო კრების მდივანი (არსებობის შემთხვევაში) - სააგენტოს შესაბამისი თანამშრომელი. საერთო კრების მდივანზე და მის ვალდებულებებზე გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

4.18 საერთო კრების სხდომა შეიძლება გაიმართოს ან წევრებმა საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (მაგ.: skype-ის), რაც უნდა დაფიქსირდეს საერთო კრების სხდომის ოქმში.

4.19 საერთო კრების თავმჯდომარე უზრუნველყოფს საერთო კრების ხელმოწერილი ოქმის, საერთო კრების დადგენილების, წერილის ასლების საერთო კრების წევრებისთვის და საჭიროების შემთხვევაში, დირექტორისთვის დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო 3 სამუშაო დღის ვადაში, გაგზავნას.

4.20 საერთო კრების წევრი და დირექტორი (თუ ის სხდომას ესწრებოდა) უფლებამოსილი არიან ამ წესდების 4.19 პუნქტით გათვალისწინებული კორესპონდენციის მიღების შემდეგ დოკუმენტის სიზუსტესთან დაკავშირებით გამოთქვან შენიშვნები თუ დოკუმენტი განსხვავებულად ასახავს სხდომაზე განხილულ საკითხებს, გამოთქმულ მოსაზრებებს, კენჭისყრის შედეგებს, მიღებულ გადაწყვეტილებებს და სხვა.

4.21 შენიშვნები ეგზავნება საერთო კრების ყველა წევრს და დირექტორს (თუ ის სხდომას ესწრებოდა). საერთო კრების თავმჯდომარე ვალდებულია დაუყონებლივ მოიწვიოს საერთო კრება და იზრუნოს მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოთქმული შენიშვნები ეხება ტექნიკურ, რომელიც ზიანს არ აყენებს წევრის ინტერესებს და წევრი არ ითხოვს საეთო კრების მოწვევას.

4.22 საერთო კრების თავმჯდომარე უფლებამოსილია, ამ წესდების **4.21** პუნქტის გათვალისწინებით, საერთო კრების ჩატარების გარეშე გამოასწოროს დოკუმენტების შედგენისას დაშვებული ტექნიკური ან რედაქციულ შეცდომები და შესწორებული დოკუმენტის ასლი დაუგზავნოს შესაბამის პირებს.

4.23 საერთო კრების დოკუმენტები, მათი პროექტები და წევრების შენიშვნები შესაძლებელია დაიგზავნოს ელექტრონული ფორმით.

მუხლი 5

სააგენტოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

5.1 სააგენტოს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი. დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს საერთო კრება.

5.2 შერჩეული დირექტორის კანდიდატურას საერთო კრება, მისი შემადგენლობის არანაკლებ 3/4-ის გადაწყვეტილებით, უფორმებს სააგენტოს მართვის დავალების ხელშეკრულებას

(შემდგომში, დავალების ხელშეკრულება). დავალების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განსაზღვრული ვადით ან უვადოდ.

5.3 დავალების ხელშეკრულებას საერთო კრების სახელით ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე.

5.4 დავალების ხელშეკრულება ძალაშია დირექტორის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის დღიდან. რეგისტრაციას უზრუნველყოფს საერთო კრების თავმჯდომარე.

5.5 საერთო კრების დირექტორთან ურთიერთობის სხვა საკითხები რეგულირდება დავალების ხელშეკრულებით.

5.6 დირექტორი მოქმედებს სააგენტოს სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5.7 დირექტორი უფლებამოსილია:

5.7.1. დამოუკიდებლად უხელმძღვანელოს სააგენტოს ყოველდღიურ საქმიანობას მისი მიზნებისა და ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად ამ წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.7.2. სააგენტოს სახელით დადოს სხვადასხვა გარიგებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩლედ და მოპასუხედ, გასცეს მინდობილობა და განახორციელოს სხვა კანონიერი მოქმედებები;

5.7.3. შეიძინოს და განკარგოს სააგენტოს მომრავი და უძრავი ქონება ამ წესდების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

5.7.4. გახსნას და დახუროს სააგენტოს საბანკო ანგარიშები, ხელი მოაწეროს ფინანსურ და სხვა ოფიციალურ დოკუმენტაციას;

5.7.5. განახორციელოს უფლებამოსილების დელეგირება დირექტორის მოადგილეზე და სააგენტოს სხვა თანამშრომელზე;

5.7.6. გადაანაწილოს უფლება-მოვალეობები სააგენტოს ადმინისტრაციის თანამშრომლებზე;

5.7.7. სააგენტოს მართვის უზრუნველსაყოფად გამოსცეს შესარულებლად სავალდებულო ბრძანებები;

5.7.8. კონკურსის წესით ან პირდაპირ, კონკურსის გარეშე დანიშნოს და გაანთავისუფლოს დირექტორის მოადგილე და სააგენტოს სხვა თანამშრომლები ან/და გააფორმოს მათთან შრომითი ხელშეკრულებები ამ წესდების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

5.7.9. იზრუნოს სააგენტოს ადამიანური რესურსების განვითარებაზე;

5.7.10. მიმართოს საერთო კრების თავმჯდომარეს საერთო კრების მოწვევის თხოვნით და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სხდომის მუშაობაში;

5.7.11. განახორციელოს ამ წესდებით განსაზღვრული ან საერთო კრების მიერ მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

5.8 დირექტორი ვალდებულია:

5.8.1. დროულად და ეფექტიანად აღასრულოს საერთო კრების გადაწყვეტილებები;

5.8.2. სააგენტოს ქონება და ფინანსური რესურსები გამოიყენოს სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების შესაბამისად;

5.8.3. ზედამხედველობა გაუწიოს სააგენტოს თანამშრომლების მიერ საქართველოს კანონმდებლობის, მუნიციპალიტეტების ნორმატიული აქტების, სააგენტოს წესდების, შრომის შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების დაცვას;

5.8.4. შეიმუშაოს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს სააგენტოს ბიუჯეტის, სააგენტოს განვითარების სტრატეგიისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი;

5.8.5. ყოველი წლის 10 თებერვლამდე საერთო კრებას წარუდგინოს წინა წლის ბიუჯეტის, სააგენტოს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიში;

5.8.6. საერთო კრების ან საერთო კრების თავმჯდომარის მოწვევით დაესწროს საერთო კრების სხდომებს;

5.8.7. საერთო კრების ან საერთო კრების წევრის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციისა და საქმიანობის ანგარიშის სრულად და დროულად (გონივრულ ვადაში) წარდგენა.

5.8.8. უფლებამოსილებათა განხორციელებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების, ამ წესდებისა და შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები.

5.9 დირექტორი პასუხისმგებელია სააგენტოს ქონებისა და ფინანსების მიზნობრივად და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე საერთო კრების წინაშე.

5.10 დირექტორი ვალდებულია სააგენტოს საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად. კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია სააგენტოსთვის. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი სააგენტოს წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. საგენტოს მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

5.11 სააგენტოს დირექტორს დავალების ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეუწყდეს ნებისმიერ დროს, თუ საერთო კრება მიიჩნევს, რომ სააგენტოს მიზნებს საუკეთესოდ ემსახურება ახალი დირექტორის დაქირავება. დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას წევრთა უმრავლესობით იღებს საერთო კრება.

5.12 დირექტორს დავალების ხელშეკრულება უწყდება თუ:

5.12.1. მარეგისტრირებელ ორგანოს, წარედგინა საერთო კრების თავმჯდომარის განცხადება დირექტორის გათავისუფლების თაობაზე;

5.12.2. მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინა დირექტორის განცხადება რეგისტრაციის შეწყვეტის მოთხოვნის თაობაზე;

5.12.3. გავიდა დირექტორთან დადებული დავალების ხელშეკრულების ვადა;

5.12.4. დირექტორი გარდაცვლილია, სასამართლოს მიერ აღიარებულია შეზღუდულ ქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოცხადებულია გარდაცვლილად, მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მხარდაჭერა აქვს დანიშნული.

5.13 დირექტორთან დადებული დავალების ხელშეკრულება არ წარმოადგენს შრომის ხელშეკრულებას და მისი შეწყვეტის მიმართ არ ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული წესები, გარდა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7^2 პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების ვალდებულებისა. საერთო კრების თავმჯდომარე/დირექტორი მარეგისტრირებელ ორგანოში „5.12.1" და „5.12.2" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული განცხადების

წარდგენამდე ვალდებულია გააგზავნონ შეტყობინება საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ:

5.13.1. დირექტორი ვალდებულია მარეგისტრირებელ ორგანოში განცხადების წარდგენამდე საერთო კრება გააფრთხილოს არანაკლებ ერთი თვით ადრე. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ერთი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა თუ საერთო კრება დაეთანხმება გაფრთხილების ვადის დაუცველად დირექტორისთვის რეგისტრაციის შეწყვეტას.

5.13.2. საერთო კრების თავმჯდომარე, მარეგისტრირებელ ორგანოში დირექტორის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენამდე, ვალდებულია არანაკლებ 3 ან არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დირექტორი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. არანაკლებ 30 დღით ადრე გაფრთხილებისას, დირექტორს მიეცემა კომპენსაცია 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, ხოლო არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილებისას - 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით. ანაზღაურება გაიცემა რეგისტრაციის შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

5.14 დირექტორს ჰყავს დირექტორის მოადგილე, რომელსაც ამ წესდების შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.

5.15 დირექტორის მოადგილე კოორდინაციას უწევს სააგენტოს ადმინისტრაციის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას და ასრულებს დირექტორის მიერ მასზე დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

5.16 დირექტორის დროებით არყოფნისას, მისივე დავალებით, დირექტორის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე, ხოლო თუ დირექტორს უფლებამოსილება შეუწყდა, ახალი დირექტორის შერჩევამდე საერთო კრების წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, დირექტორის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე.

5.17 სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებისა და სააგენტოს ორგანოების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით იქმნება სააგენტოს ადმინისტრაცია. სააგენტოს ადმინისტრაცია არის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების, საჭიროების შემთხვევაში, ქვესტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომლების ორგანიზებული ერთობლიობა. სააგენტოს ადმინისტრაცია არ წარმოადგენს სააგენტოს ორგანოს.

5.18 სააგენტოს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების (ქვესტრუქტურული ერთეულების) უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სააგენტოს ადმინისტრაციის დებულებით.

5.19 დაუშვებელია საერთო კრების წევრს, რომელიც ითხოვს საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შეყვანას, უარი ეთქვას მოთხოვნაზე.

5.20 საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ საჯარო მოსამსახურეები, გარდა საერთო კრების წევრებისა.

5.21 საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 6
სააგენტოს ქონება და ფინანსები

6.1. სააგენტოს ქონებას შეადგენს ძირითადი საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობები, რომელიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

6.2. სააგენტოს სახსრები იქმნება: საწევრო გადასახადით (სუბსიდია/გრანტი (ტრანსფერი)), დამხმარე სახის საქმიანობით მიღებული შემოსავლებით, ადგილობრივი და უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების უსასყიდლო და საქველმოქმედო შემოწირულობებით, გრანტებით, სესხებით და სხვა საშუალებით მიღებული შემოსავლებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

6.3. წლიური საწევრო გადასახადის ოდენობის დადგენისა და გადახდის წესს დადგენილებით ამტკიცებს საერთო კრება. თითოეული წევრისთვის - მუნიციპალიტეტისთვის საწევრო გადასახადის ოდენობა განისაზღვრება საერთო კრების მიერ დადგენილი კრიტერიუმების (მაგალითად: მოსახლეობის რაოდენობა, ტერიტორიის სიდიდე და სხვა) გათვალისწინებით.

6.4. წევრს, რომელიც სააგენტოს უსასყიდლო სარგებლობაში გადასცემს უძრავ ქონებას, საერთო კრების გადაწყვეტილებით, საწევრო გადასახადზე შეიძლება დაუდგინდეს შეღავათი.

6.5. სააგენტო უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე (არაძირითადი) ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, საიდანაც მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება სააგენტოს დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს შორის დაუშვებელია.

6.6. სააგენტოს საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ გასხვისება ემსახურება სააგენტოს საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას.

6.7. მხოლოდ საერთო კრების წინასწარი თანხმობით არის შესაძლებელი სააგენტოს დირექტორის მიერ უძრავი ქონების შეძენა, სარგებლობის უფლების მიღება ან გადაცემა, გასხვისება და დატვირთვა, სესხის აღება/გაცემა, თავდებობა, სხვა გადაწყვეტილების მიღება სააგენტოს ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც სცილდება სააგენტოს ჩვეულებრივ საქმიანობას.

მუხლი 7

საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

7.1. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. სააგენტოს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. ასევე, სააგენტო ლიკვიდაციას ექვემდებარება თუ წევრების რაოდენობა შემცირდა ერთამდე.

7.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

7.4. გადაწყვეტილება სააგენტოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

7.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს საერთო კრება. სააგენტოს ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ: გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას. ქონება გადაეცემა იგივე ან მსგავსი მიზნების მქონე სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს/პირებს.

7.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება სააგენტოს დამფუძნებლებს, წევრებს, დირექტორს შორის.

7.7. თუ სააგენტოს საერთო კრებამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო სააგენტოს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

7.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 8

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

8.1 საერთო კრების პირველ სხდომას და საერთო კრებას სააგენტოს დაფუძნების პირველ წელს თავმჯდომარეობს გორის მუნიციპალიტეტი.

8.2 სააგენტოს დაფუძნების წელს, საერთო კრების დადგენილებით, შეიძლება დადგინდეს საწევრო გადასახადის განსაზღვრის განსხვავებული წესი.

8.3 თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) რომელიმე პუნქტი/ქვეპუნქტი ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა პუნქტების/ქვეპუნქტების ნამდვილობაზე.

8.4 ეს წესდება ძალაშია ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის დღიდან.

8.5 მარეგისტრირებელ ორგანოში სააგენტოს რეგისტრაციის შემდეგ წესდებაში ცვლილება ძალაშია მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის დღიდან.

- **გორის მუნიციპალიტეტი**, საიდენტიფიკაციო კოდი 218086087
  იურიდიული მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, გრიგოლ ფერაძის ქ.№5.
  წარმომადგენელი: გორის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე თავზარაშვილი
  პ/ნ 59001016698

- **ხაშურის მუნიციპალიტეტი**, საიდენტიფიკაციო კოდი 243908848
  იურიდიული მისამართი: ხაშურის მუნიციპალიტეტი, ხაშური, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №2
  წარმომადგენელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე
  პ/ნ 57001000811

- **კასპის მუნიციპალიტეტი**, საიდენტიფიკაციო კოდი 232555302
  იურიდიული მისამართი: კასპის მუნიციპალიტეტი, კასპი, მერაბ კოსტავას ქ. №18
  წარმომადგენელი: კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე
  პ/ნ 24001005772

- **ქარელის მუნიციპალიტეტი**, საიდენტიფიკაციო კოდი 240893002
  იურიდიული მისამართი: ქარელის მუნიციპალიტეტი, ქარელი, ნინოშვილის ქ. №3
  წარმომადგენელი: ქარელის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა გულიაშვილი
  პ/ნ 43001000867

კონსტანტინე თავზარაშვილი
ზვიად ქურდაძე
ვახტანგ მაისურაძე
ზაზა გულიაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სჯპარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №310
თარიღი "02" ივლისი 2024 წ.
მივრთმეულია 13 ხელმოწერა